# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—სამშაბათი, 15 თებერვალი 1900 წ. № 1045.

**გაზეთი ღირს:** წალიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| საზღვარ გარეთ წლიურად 13 მან. | საზღვარ გარეთ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, **შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

**„ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.**

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

**„ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“** (იანვრის წიგნიანად) **ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.**

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

## ქართული თეატრი

**ოთხშაბათს, 16 თებერვალს,**

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

**ა. მ. კ ა რ გ ა რ ე ლ ი ს ა**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება პირველად

ა ხ ა ლ ი პ ი ე ს ა

## ებრაელი ქალი

**დრამა 5 მოქმედ.**

მოთამაშენი: ქქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ჭელიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**—დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე და კ. მესხი.**

შაბათს, 19 თებერვალს, ბენეფისი ვ. აბაშიძის და კ. მესხის, ეფემია მესხის მონაწილეობით

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (60—10)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევს **ფოტოგრაფიაში საჭიროა ხაზინადარი-ქალი.** მსურველთ ამ ადგილის მიღებისა შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას არა უგვიანეს 15 თებერვლისა. ნ. 6—5

### მთავრობის განკარგულებანი

კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების პანკისის სკოლის მასწავლებელს ზედგინიძეს ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

## ახალი ამბავი

✦ 23 თებერვალს ქ. სიღნაღში მოხდება კრება **სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობისა.** კრებამ უნდა შეასწოროს სიები იმ თავადთა და აზნაურთა, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის კრებებში, და უნდა განიხილოს კითხვები, რომელნიც წარედგინა გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალს კრებას.

✦ მარტის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამობრძანდება **სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი.** აქედან შაჰი წაბრძანდება პეტერბურგს და შემდეგ საზღვარ-გარედ.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება და ბრძანა, რომ ტფილისში **სპარსეთის უმთავრეს კონსულად ჯეხანგირ-ხანი იყოს.**

✦ ხეხილის მოშენების საიმპერატორო რუსეთის საზოგადოებას განუზრახავს მოიწვიოს პეტერბურგში რუსეთის ღვინის **მკეთებელთა და ღვინის ვაჭართა საერთო კრება.** კრების პროგრამმის შესამუშავებლად არჩეულია უკვე განსაკუთრებული კომისია. კრებამ უნდა განიხილოს, თუ რა ზომები უნდა იქმნას მიღებული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

✦ ხამიწად-მოქმედო სამინისტროს შუამდგომლობით, რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა უკანასკნელმა კრებამ გარდასწყვიტა **შეღავათი** მიეცეს ყველა იმ პირთ, ვინც რკინის გზით გზავნის ექსპონატებს რუსეთის ქალაქებში გამართულ სამეურნეო გამოფენებზე.

✦ გუშინ, 14 თებერვალს, ნიხრის დამწესებელ კომისიის თავმჯდომარის განკარგულების თანხმად, ქალაქის საყასბოში დაიკლა ნიხრის დასადგენად 12 ხარი. აღმოჩნდა, რომ გირვანქა **ჯდება** **10,48 კაპ.**

✦ როგორც შევიტყვეთ, ბ-ნ მურიეს, „Caucase illustrè“-ს რედაქტორს, გადაუთარგმნია პროზად ფრანგულ ენაზე თავ. ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „**განდეგილი**“. დღენათ რუსული და ინგლისური თარგმანები უხმარია.

✦ საპატიმროთა უმთავრესს მმართველობას გარდაუწყვეტია ქუთაისის გუბერნიის ყველა სამაზრო ცენტრებში აშენდეს **საპატიმროები.** ხსენებულ მმართველობის აზრით, ამ საქმისთვის საჭირო ხარჯი ხაზინამ უნდა იკისროს და არა ადგილობრივ საერობო თანხამ, როგორც უწინ იყო ხოლმე შემოღებული.

✦ განზრახულია ქუთაისის გუბერნიის **საპატიმროებში** გაძლიერებულ იქმნას სადარაჯო ნაწილი. ამისათვის ჯერ-ჯერობით გადიდდა 2700 მან. 15 უმცროს ზედამხედველთა დასაქირავებლად.

✦ ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან, რომელიც დაბეჭდილია „ფინანსთა უწყებაში“, სხვათა შორის,

სჩანს, რომ წელს ზოგიერთ სასწავლებლებზე მეტი დახარჯება, ვიდრე წინა წლებში, სახელდობრ: ხსენებულ სასწავლებელთა შესანახად—2.145.082 მანეთი (შარშანდელზე 117.857 მანეთით მეტი), სამრევლო სასწავლებელთა შესანახად—736.153 მან. (შარშანდელზე 311.695 მანეთით მეტი), სახალხო სასწავლებელთა დირექციების და ინსპექტორების შესანახად—875.305 მან. (შარშანდელზე 178.433 მანეთით მეტი), პირველ-დაწყებით სკოლების შესანახად და დასაარსებლად—2.976.332 მან. (შარშანდელზე 704.981 მანეთით მეტი) და სამოსწავლო ინსტიტუტებისა და სემენარიების შესანახად—1.273.698 მ. (შარშანდელზე 36.348 მანეთით მეტი).

✦ 1-ლ აპრილიდან შემოღებულ იქმნება ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე **დაკლებული ტარიფი მგზავრთათვის** ამ სადგურების შუა: 1) ბაქო-სურახანა, 2) ბათუმი-სუფსა, 3) ქუთაისი-გელათი-აბაშა-შორაპანი, 4) ფოთი-სამტრედი და 5) ტფილისი-სურამი-ბორჯომი. სააბონემენტო ბილეთები მეაგარაკეთათვის მოსპობილ იქმნებიან 1-ლ მარტიდან.

✦ პარასკევს, 18 თებერვალს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გამართული იქმნება **ქართული სახალხო წარმოდგენა**. წარმოდგენილი იქმნება სუნდუკიანცის პიესა „ხათაბალა“.

✦ შაბათს, 19 თებერვალს, თავად-აზნაურთა თეატრში, დილის 12 საათზე, სახალხო კითხვათა კომისია ჰმართავს **საბავშვო წარმოდგენას**, რომლის შემოსავალი გადიდება სახალხო თეატრის სექციების საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატას, 12 თებერვალს, წარედგინა სენატში გასაგზავნად **საკასაციო საჩივრები** თავ. ბარათაშვილისა, თავ. ტუსიშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც დაბრალდათ დავ. გაბაშვილის მოკვლა.

✦ დღეს, 15 თებერვალს, **სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება** იქმნება. კრებამ უნდა დაასრულოს განხილვა პროექტისა აბრეშუმის თესლზე სავალდებულო კონტროლის შემოღების შესახებ. კრებას არა წევრთაც შეუძლიათ დაესწრონ.

✦ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სომხურ გაზეთის „მშაკის“ რედაქტორისა ა. ა. ქალანთარისა, რომელსაც ახალქალაქის მცხოვრებმა ალექსი სანდაძემ (იგივე სანდასიანცი) ბრალი დასდო—**მეკახშეობა** დამწამაო. სასამართლომ ბ-ნი ქალანთარი გაამართლა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რომ ქალაქის ცენტრალურს საავადმყოფოში და მის განყოფილებებში წამლების მუქთად მიცემის დროს მოსთხოვონ ხოლმე ღარიბ ავადმყოფთ **სიღარიბის მოწმობა**. უკანასკნელის აღება ავადმყოფთ შეუძლიათ პოლიციისაგან, სასულიერო პირთაგან, ექიმებისაგან, სასანიტარო ზედამხედველთაგან, საქველმოქმედო საზოგადოებათაგან, ვაჭართა, მოქალაქეთა და ხელოსანთა გამგეობათაგან, ამქართა მამასახლისებისაგან, სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებათა და სასწავლებელთა უფროსებისაგან. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ავადმყოფს დაუყოვნებლივ უნდა აღმოეჩინოს დახმარება, არავითარი მოწმობა არ უნდა სთხოვონ.

✦ შაბათს, 13 თებერვალს, «ტფ. სობრანიეს» დარბაზში ბ. ზაქ. ფალიაშვილმა გამართა კონცერტი, რომელმაც დიდ ძალი საზოგადოება მიიზიდა. კონცერტში მონაწილეობას ღებულობდენ: მომღერალი ქალი ქ-ბ. სოკოლოვისა, მომღერლები ბ. აგასოვი და ბ. კუკულევსკი, სკრიპკის დამკვრელი ბ. კილშაუ, ქართულ თეატრის არტისტი ბ. ყიფიანი, რომელმაც ქართული და რუსული ლექსები წაიკითხა, და ბ. ფალიაშვილის ხორო. კონცერტმა ძალიან ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება, ნამეტური კარგი იყო ბ. ფალიაშვილის მშვენივრად გაწრთვნილ ხორის ქართული სიმღერა. კონცერტის შემდეგ გაიმართა ცეკვა.

✦ ჭიათურიდან გვწერენ: აქამდის დაბა ჭიათურაში ძალიან კარგი ამინდი იყო და შავი ქვის მწარმოებლებმა კარგად ისარგებლეს ამინდით: ქვა ბევრი ჩამოზიდეს და კარგი მუშაობაც ჰქონდათ. მაგრამ ამ თვის 10 და 11-ს აქ მოვიდა დიდი თოვლი; მოთოვლა თითქმის $1^1/_2$ არშინი. ამ მოულოდნელმა სტიქიურმა მოვლენამ შავ ქვაში მომუშავე ხალხი დიდათ შეაწუხა... 12-ს თებერვალს ისევ დათბა ძალიან და თოვლიც დადნა. მდინარე ყვირილა ისე მოდიოდა, რომ ჭიათურის შუა ხიდი, რომელიც ყველა ხიდებზედ უმაგრესი იყო, ჩაამტვრია და წაიღო მთლად. დაზიანდა აგრეთვე დუქნები, რომელნიც იქვე მდინარის ნაპირებზე იდგნენ. ზარალი დიდია.

---

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** წარსული კვირის წარმოდგენამ (ქ-ბ. ტასო აბაშიძი ბენეფისად) მეტად უსიამოვნო და მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე და ამის მიზეზი სამწუხაროდ ბ-ნი ვ. აბაშიძე იყო. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი საზოგადოება გარდა ჩვენისა, რასაკვირველია, რომლის ასე აბუჩად აგდება შეიძლებოდეს და რომელსაც შეეძლოს მოთმენა არტისტის ისეთი თავგასულობისა. პირველ პიესაში (ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში) ბ-ნი აბაშიძე ისე იქცეოდა სცენაზე, თითქო სცენა პურლვინის რესტორანია მეორე პიესაში („ცელქები“) სოფლელ მძინარა დიაკვანს ჰგავდა, რომელიც თავისთვის და სხვების გაუგებრად რაღაც ლოცვებს ბუტბუტებს; პარიკიც ისეთი გაეკეთებინა, რომ მაყურებლებს ზიზღს ჰგვრიდა. ნიჭიერ არტისტს, რომელსაც მთელი თავის სიცოცხლე სცენაზე გაუტარებია და რომლისთვისაც სცენა წმინდა ტაძარი უნდა იყოს, არ ეპატიება ამ სცენისა და მისი პატივისმცემელი საზოგადოების ასეთი შეურაცხყოფა, რა მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული ამ გვარი ქცევა.

რა გასაკვირველია, რომ წარმოდგენა ვერ იყო კარგი. ბევრსა ცდილობდნენ მობენეფისე, ბ-ნი ყიფიანი, გედევანიშვილი, რომ რამე ფერად რიგიანად წაეყვანათ წარმოდგენა, მაგრამ ვერ შესძლეს და შეუძლებელიც იყო, რადგან ბ-ნი აბაშიძე ყველას ხელს უშლიდა თავის უხეირო ქცევით.

საზოგადოება ცოტა იყო თეატრში და ბოლომდე არც ეს ცოტა დარჩენილა, რადგანაც ვერ აიტანეს არტისტის ასეთი საქციელი.

მობენეფისეს დამსწრენი, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობა, დიდის ამბით დახვდნენ და საჩუქრებიც ბევრი მიართვეს..

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**14 თებერვალი**

**პეტერბურგი.** 12 თებერვალს. ალექსანდრინის თეატრში გაიმართა სუვოროვის მოსახსენებელი საღამო, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი.

**პაარდებერგი.** 10 თებერვალს. ჰაეროსტატიდან დღეს ინგლისელებმა შეამჩნიეს მტრის ახალი საფრები და დაუწყეს მათ სროლა.

9 თებერვალს სასტიკი თოფის სროლა იყო მდინარის ჩრდილოეთის და სამხრეთით გენ. კონსის ბრიგადა სდგას სამხრეთით. გენ. სმიტი კი მიემართება ბურების ბანაკისაკენ ჩრდილოეთით. დღეს ფრენჩმა არტილერიით იერიში მიიტანა გორაკზე, რომელსაც იცავს კრონიეს მძლავრი ჯარი გამაგრებული ლედი-სმიტიდან მოსულ ჯარებით. ბურები უეცრად თავს დაესხნენ ფრენჩს, მაგრამ სასტიკის სროლის შემდეგ დაიწიეს დრიფტისაკენ. ბევრი მათგანი გაიქცა, ბერი მოკლულია და 50 ტყვეთ არის წაყვანილი. გორაკი წარმოადგენს მშვენიერს და მძლავრს პოზიციას. დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეწყვეტილი იყო ბრძოლა და მოლაპარაკება გაიმართა. კრონიე, როგორც სჩანს, მზათ არის დამორჩილდეს ინგლისელებს, მაგრამ ამის წინააღმდეგნი არიან ტრანსვალელი ახალგაზდა ბურები; დანარჩენები კი იმ აზრის არიან, რომ უნდა დამორჩილდნენ ინგლისელთ. მიუხედავად მოლაპარაკებისა, საქმე უცვლელად რჩება, ბურები მეტად ამაგრებენ თავიანთ პოზიციას. ყველას უკვირს ბურების დიადი მამაცობა, მაგრამ მიუხედავად ამისა შეუძლებელია, რომ ისინი არ დამორჩილდნენ ინგლისელთ. წინააღმდეგობა ტყუილად იმსხვერპლებს ბევრს ხალხსაც და ფულსაც. კრონიე სდგას ინგლისელების ჯარების პირდაპირ მდინარის ორივე ნაპირებზე, ფრენჩის ცხენოსანი ჯარი კი იგერებს ბურებს, რომელნიც ორი მხრიდან ებრძვიან მათ. ფრენჩმა ტყვედ წაიყვანა 450 კაცამდე და გარდა ამისა დიდძალი საქონელი, ცხვარი და ხარი. ღამე ინგლისელებმა რამდენიმე ყუმბარა ესროლეს კრონიეს პოზიციას. ინგლისები თან და თან გარს ერტყმიან ბურებს.

**კოლენზო.** გუშინ და დღეს ინგლისის ჯარებს ცხარე ბრძოლა ჰქონდათ მტერთან, რომელსაც მძლავრი პოზიცია უჭირავს გორაკ გრობლერზე და სხვა მახლობელ მაღლობებზე. ზარბაზნების საშინელმა სროლამ, რომლის წყალობით ჩვენი ქვეითი ჯარი ნელა მიდიოდა წინ, ვერ შეარყია ბურების რაზმები. დღეს ბრძოლა ისევ გაგრძელდა, არტილერიის სროლის შემდეგ ინგლისელებმა დაიწყეს მზადება მაღლობებზე იერიშის მისატანად.

**კიმბერლეი.** აქ მოვიდა ერთი მკვიდრი და შეატყობინა ინგლისელებს, რომ ბურების მძლავრი რაზმი დაბანაკდა ფარტანსტრომთან; მათ თან მოიტანეს ორი

დიდი ზარბაზანი; მოვიდა აგრეთვე მრავალი ფურგუნი; ბურები ანგრევენ ხიდს.

**პარიზი**. სენტ-ეტიენი. წაეკიდა ცეცხლი სპირტსა და ნავთის საწყობებს; დაშავებულია რამდენიმე კაცი.

**როსტოვი-დონზე.** ბაზარზე ხორბალს კარგი ფასები აქვს: ხორბალი ათი ფუთი ღირს 9—80 კ.; ქერი 6—80 კაპ., შვრია—3 30 კაპეიკი.

**პარიზი.** ქაირიდან იტყობინებიან, რომ გამოძიება ომდურმანში სუდანელ ბატალიონების აჯანყების შესახებ ჯერ არ დასრულებულა; 5 ეგვიპტელი ოფიცრები სამსახურიდან დაითხოვეს და დაპატიმრებულნი ქაირში წაიყვანეს.

**კონსტანტინეპოლი.** იზმაილ-ქემილი ისევ გაანთავისუფლეს; განთავისუფლ იქმნენ აგრეთვე სხვა დაპატიმრებულნიც; დატუსაღებულ იქმნენ სხვა პირები.

**პაპარდებერგი 11** თებერვალს. კრონიე მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ინგლისის ზარბაზნები თავს დაჰყურებენ ბურების ბანაკს წყლის კალაპოტში. გარდა ამისა იორკშირის პოლკის იერიშით მისვლამ აიძულა ბურები თავი დაენებებინათ სიმაგრეებისათვის. ბურების ჯარებიდან გამოქცეულნი ამბობენ, რომ ინგლისის ზარბაზნები დიდ ზარალს აძლევენ ბურებს, მათის სიტყვით, კრონიე მზად არის დამორჩილდეს ინგლისელთ, მაგრამ ახალგაზდა ტრანსვაალელი ბურები წინააღმდეგნი არიან. ბურების ბანაკში არიან მათი ქალები და ბავშვები. რობერტსმა წინადადება მისცა ბურებს გამოუშვან ქალები და ბავშვები საშიშ ადგილიდან, მაგრამ ეს წინადაბა უარ ყოფილ იქმნა. უარ ყოფილ იქმნა აგრეთვე რობერტსის წინადადება ბურებთან ექიმების გაგზავნის შესახებ. 9 თებერვალს ინგლისელების მიერ დაჭერილ გორაკს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ის აძლევს ინგლისელთ საშუალებას არ მიუშვას ახლო აღმოსავლეთიდან ბურების ჯარები.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა ამბობს: „ნატალიდან მოსული ბურების ჯარები გუშინ თავს დაესხნენ ჩვენს მოწინავე რაზმებს. ბურებმა ბევრი დაჰკარგეს; ტყვედ არის წაყვანილი ას კაცამდე, მათ შორის ერთი რაზმის უფროსთაგანი და ერთიც ფელდკორნეტი. ჩვენ მოგვიკლეს 9 კაცი და დაგვიჭრეს 29. დაჭრილ ბურს, რომელიც დღეს მოიყვანეს ჩვენს საავადმყოფოში, აღმოუჩნდა სამი რევოლვერის ტყვია. გუშინ 6 ინგლისელი იქმნა დაჭრილი რევოლვერისავე ტყვიებით. მეტეუნი აცხადებს, რომ ჩვენმა ჯარებმა ათ თებერვალს დაიჭირეს ბარვლიუესტი კაპშტადტსა დაკიმბერლეის შუა მდებარე მხარე რკინის გზის ჩრდილოეთით თან და თან მშვიდდება და თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას ეძლევა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**სამშაბათი,** 15 თებერვალი; ახალი სტილით 27 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 320 დღე. მთვარის მე-28 დღე. ხსენება წმ. მოციქულისა ონისიმესი, ღირსისა ევსევისა, ეფროსანესი; პაფნუტისა, დანიელისა, იერემიასი და სხვათა.

**ოთხშაბათი,** 16 თებერვალი; ახალი სტილით 28 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 319 დღე. მთვარის 1-ლი დღე. ხსენება წმ. პამფილესი, პავლესი, ღირსისა პორფირესი და ფლაბიანესი.

შემდეგი უქმე—18 თებერვალს,—ყველიერი.

## ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მაშ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მოედანზე: | | მ. | კ. | კოკზაოდზე მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | | | | |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შაშა რცხილის 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შაშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კასეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი

**ხ რთუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება გოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და კუუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე ბეგლუს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქსუ ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და

4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

ქუთაისიდგან რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

შორაპნიდან ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

ჭიათურაში მიდის პირველი— დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ჭიათურიდგან შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სა 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

მიხაილოვიდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში უკელა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ჭყონიასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ,

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა / ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამოც. გ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.